

Tateinheit (Idalkonkurrenz)

Sowohl im **deutschen** als auch im **georgischen Recht** handelt es sich beim Institut der Tateinheit (auch als „Idalkonkurrenz“ bezeichnet) um einen konkurrenzrechtlichen Grundsatz, der bei der Urteilsfindung im Rahmen der Strafzumessung zur Anwendung kommt. Er findet seine gesetzliche Regelung im **deutschen Strafrecht** in § 52 dStGB sowie im **georgischen Strafrecht** in Art. 16 Abs. 1 S. 2 gStGB und betrifft die Bildung der Strafe, wenn durch eine Handlung mehrere Straftatbestände verwirklicht wurden (ungleichartige Konkurrenz) oder derselbe Straftatbestand mehrmals verwirklicht wurde (gleichartige Konkurrenz).

Sowohl im **deutschen** als auch im **georgischen Strafrecht** erfolgt die Bildung der Strafe dabei nach dem sog. „Absorptionsprinzip“ (§ 52 Abs. 2 dStGB; Art. 59 Abs. 2 gStGB). Dies bedeutet, dass zwar alle verwirklichten Straftatbestände im Schuldspruch auftauchen, die Strafe im Ergebnis aber nur nach dem Strafraumen des schwersten der verwirklichten Delikte bemessen wird. Dabei ist es wiederum möglich, die nicht eigens in die Bemessung der Strafe einbezogenen Delikte bei der Festlegung der Strafe anhand des Strafraumens des schwersten Delikts zu berücksichtigen.

Damit entsprechen sich **beide Rechtsordnungen** sowohl im Hinblick auf die Funktion als auch die Auswirkungen des konkurrenzrechtlichen Grundsatzes der Tateinheit. (Mpi/Gtu)

დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა (ქმედებათა ერთობლიობა)

როგორც **გერმანულ**, ისე **ქართულ სამართალში** ქმედებათა ერთობლიობის ინსტიტუტი (ასევე „დანაშაულთა იდეალურ ერთობლიობად“ წოდებული) წარმოადგენს კონკურენცია-სამართლებრივ პრინციპს, რომელიც გამოიყენება განაჩენის დადგენისას სასჯელის განსაზღვრის ფარგლებში. იგი **გერმანულ სისხლის სამართალში** ნორმატიულად განსაზღვრულია გსსკ-ის 52-ე პარაგრაფში, ხოლო **ქართულ სისხლის სამართალში** სსსკ-ის მე-16 მუხლის 1-ელი ნაწილის მე-2 წინადადებაში და ეხება სასჯელის დანიშვნას, როდესაც ერთი ქმედებით განხორციელდა რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობა (არაერთგვაროვანი კონკურენცია) ან იგივე დანაშაულის შემადგენლობა განხორციელდა რამდენჯერმე (ერთგვაროვანი კონკურენცია).

როგორც **გერმანულ**, ისე **ქართულ სამართალში** ამ დროს სასჯელის შეფარდება ხდება ე.წ. „აბსორბციის“ პრინციპის მიხედვით (გსსკ-ის 52-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი; სსსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად განაჩენში ყველა განხორციელებული დანაშაულის შემადგენლობის ასახვისა, საბოლოო სასჯელი განისაზღვრება მხოლოდ ყველაზე მძიმე დელიქტისთვის გათვალისწინებული მკაცრი სასჯელის ფარგლებში. ამ შემთხვევაში ისიც არის შესაძლებელი, რომ ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის მიხედვით სასჯელის დანიშვნისას,

Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar
გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

მხედველობაში იქნენ ასევე მიღებული ის დელიქტებიც, რომლებიც არ ასახულან საბოლოოდ განსაზღვრულ სასჯელში.

შესაბამისად, **ორივე ქვეყნის კანონმდებლობა** შეესაბამება ერთმანეთს ქმედებათა ერთობლიობის კონკურენცია-სამართლებრივი პრინციპის როგორც ფუნქციის, ისე მისი შედეგების თვალსაზრისით. (Mpi/Gtu)